

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—მაისი 2018 წელი

ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის  
სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედანს მიენიჭოს ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო დონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





X=484345.1 Y=4618591

ცხრა ძმა ხერხეულიძის  
მუცდანი

X=484450.5 Y=4618561.3





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 03-031810742

თარიღი: 17.04.2018

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: შარტავას ქ. 7ა

## ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ჩულურეთის რაიონში ცხრა ძმის მოედნისთვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა. გიგზავნით ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული მოედნის სიტუაციურ ნახაზს (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ცხრა ძმის მოედნის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო - სახელდებისა და  
სიმბოლიკის კომისია - კომისიის  
თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
ურბანული განვითარების  
საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 67-01181103049

თარიღი: 20.04.2018

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 17.04.2018 წლის #03-031810742 (17.04.2018წ. #14-01181071684-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად ვიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ურბანული განვითარების საქალაქო  
სამსახური - პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო  
სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი